ცნობის ფურცელი

№ 2166 შაბათი, 31 მაისი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2166

ფასი გაზეთის: წლიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—8 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ყოველწვრილი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში 3 [illegible] ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

ამ ნომერთან ქალაქ გარეთ ხელის მომწერლებს ეგზავნებათ განცხადება „მშობელთა საყურადღებოდ" ექ. ვ. ლამბაშიძისა.

4 მანეთი ღირს ყოველდღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

კვირაში ორის სურათებიანის დამატებით 1 ივნისიდან წლის დამლევამდე.

კვირას, 1-ლ ივნისს, ქუთაისში, წმ. გიორგის ეკკლესიაში, გარდაცვლილ იქმნება განსვენებულის

სოლომონ ნიკოლოზის ძის ლოლაძის

სულის მოსახსენებლად ორმოცის წირვა და პანაშვიდი. (2—2)

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრ. საზოგადოების" გამგეობა ამით აცხადებს, რომ კვირას, 1 ივნისს, დილის 10 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოების 1902 წლის მოქმედებისა;

2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა წლიური ანგარიშის შესახებ;

3) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1903 წლისათვის;

4) სხვა და სხვა მოხსენება;

5) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და კანდიდატისა;

6) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

(3—3.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის გ. ხ. მუსხელაშვილისა.

(გედევანიშვილის სახლი)

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე,

ექიმნი:

მ. ი. ჩოჩინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

ნ. ტ. მუღინი. ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10.

მ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: ორშაბათობით, ოთხშაბ. და შაბათობით 10—11 ს.-მდე.

გ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით, ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი, შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი. შინაგანი, ნერვების და ბავშვებისა: კვირაობით 10—12.

ნ. მ. ამბარდანოვი—სიფილისის, კანისა და საშარდეთა 1—2 საათამდე.

ბრ. მ. ხომლელიძე—ქირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

მ. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი, ბავშვების და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა.)

მუსხელაშვილი—თვალის ავადმ. ორშაბ., ოთხშაბ. და შაბათობით, 5—6 საათ.

მუდმივი ექიმი **გ. დ. ნასარიძე.**

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრაოტები—სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საკანაშვილისა, № 21. (ალექსანდრის ქუჩის დასაწყისში.) ტელეფონი № 274 (წლ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

საჭიროა

დიდის ხნით სადგომი

კერძო საავადმყოფოსთვის. სადგომში უნდა იყოს 12 ოთახი, ყოველ გვარის მოწყობილებით, შემდეგ ქუჩებზე: მიხეილისა, ელისაბედისა, ნიკოლოოზისა კიროჩნის ქუჩამდე. სასურველია, რომ სადგომი განცალკევებული იყოს. ცნობების შეტყობა შეიძლება გედევანიშვილისეულ სამკურნალოში და კბილის ექიმს ჰიჰინაძესთან (მიხეილის ქუჩა, № 81). (5—5.—3)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის, ხოლო საღამოობით 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-დის და საღამოთი 5—7-დის.

ელისაბედის ქუჩა, 38. (წლ.

ექიმი

ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა, № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642

შაბათს 31 მაისს, საღამოს ხუთ საათზედ, მოხდება

საზოგადო კრება

სახალხო თეატრის საქმეების გამო. კრება მოხდება სახალხო აუდიტორიაში, ავჭალის ქუჩაზე. განსახილველია წლიური ანგარიში. შემდეგ არჩეული იქნება 12 წევრი სექციისა. (2——2)

საზღვარ-გარედ

ბალკანითი. წინააღმდეგ იმ იმედისა, რომელსაც აცხადებდა გუშინდელი წერილის ავტორი ნაჩევიჩის მისიის გამო, ფრანგული გაზეთი „ტან"-ი, თავის კორესპონდენტის პირით, შემდეგ საშინელ ამბავს გვატყობინებს:

„მე დიდი ხანია ვიცოდი, რომ უკიდურეს პარტიის მაკედონელები საშინელ რამეს აპირებენ ოსმალეთისა და სულთანის წინააღმდეგ; მხოლოდ მე ვუცდიდი, რომ ჯერ ბოლგარული გაზეთები ალაპარაკებულიყვნენ. ესეც მოხდა. საიდუმლო თათბირიდან უკიდურეს მაკედონელების პროექტი გაზეთების ფურცლებზე გადავიდა. აი, რას ამბობს ამის გამო ახალი ბოლგარული გაზეთი „სოფიისკია ვედომოსტი": „როცა მაკედონელებს გამოელევათ საშუალება ევროპის ყურადღების მიქცევისა, როცა ისინი დაინახვენ, რომ ევროპიულ დაწესებულებათა (ოტომანის ბანკი და სხვა) მოსპობა აღარ მოქმედებს ევროპის სახელმწიფოთა მთავრობებზე, უფრო უკიდურეს ღონისძიებას მიჰმართვენ. მაკედონელებს ხელთ აქვთ რამდენიმე ბოთლი შავი ჭირის ბაქტერიებისა; აი, ამ ბაქტერიებს მოაბნევენ მთელ კონსტანტინეპოლში და სალონიკში, მოსწამლევენ მით წყალს, სანოვაგეს. ამ საშუალებით ისინი გააქცევენ ოსმალებს, მით სულთანს, მოხელეებს და ჯარის კაცებს, თვითონ კი გაიხიზნებიან მთებში, სადაც შავი ჭირი თავის დღეში არა ყოფილა. როცა შავი ჭირი მუსრს გაავლებს ოსმალებს, მაკედონელები მთებიდან ჩამოვლენ და ცეცხლითა და მახვილით სულ ბოლოს მოუღებენ.

სასოწარკვეთილება ცუდი მრჩეველია; ევროპამ და ოსმალეთმა უნდა მოსპონ ამ სასოწარკვეთილების მიზეზი, თუ სურთ, რომ თავიდან აიცილონ მისი შედეგი"-ო, ათავებს კორესპონდენტი.

ერთ რუსულ გაზეთისა არ იყოს, ასეთი საშინელება უფრო ფრანგულ ბულვრის რომანის ამბავსა ჰგავს, მაგრამ მაკედონიის მიმდინარე ცხოვრების პირობები ისეთია, რომ ყოველგვარი საშინელება შესაძლებელია.

ერთ დიდათ გავლენიან ოსმალელ გენერალს უთქვამს—ეხლანდელ არეულ მდგომარეობას ბოლო არ მოეღება უომრად, მაგრამ ომიც შეუძლებელი არისო, ე. ი. მაკედონიის აუტანელ მდგომარეობას ბოლო აღარ ექმნებაო.

ინგლისი. მკითხველს ეხსომება ჩემბერლენის სიტყვა უცხოელ საქონელზე ბაჟის შემოღების შესახებ. ამ სიტყვამ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი აურ-ზაური გამოიწვია თავისუფალ ვაჭრობის კლასიკურ სახელმწიფოში. ლიბერალები თუ უნიონისტები ერთი მეორეზე პროტესტს აცხადებდნენ კოლონიების მინისტრის განზრახვის წინააღმდეგ. არც ახალშენები დარჩნენ მინისტრის კმაყოფილი. ჩემბერლენი მიხვდა, რომ ნახტომი შეეშალა და ეხლა სცდილობს რამე გასაძვრომი ხვრელი მონახოს. ერთ წერილში ახალშენების მინისტრი სწერს თავის მეგობარს: „თუ ახალშენების საზოგადოებრივი აზრი მართლა წინააღმდეგი ან გულგრილი იქმნება სადამოჟნო რეფორმის შესახებ, შეუძლებელი იქმნება მისი გაყვანა. მე იძულებული ვიქნები შევსწყვიტო ბრძოლა, თუ ახალშენებში მხურვალე თანაგრძნობას არ ვპოვებ". ამ წერილს ორი მიზანი აქვს: ერთი—გონზე მოიყვანოს ახალშენები და უფრო მოანდომოს სადამოჟნო რეფორმა, მეორე—მიზეზის პოვნა თავის განზრახვის უკანვე წაღებისა.

ჩემბერლენის პროექტის წინააღმდეგ, სხვათა შორის, ულაპარაკნია ცნობილ დეპუტატს ჩარლზ დილკს: ახალშენების მინისტრის პროექტის განხორციელება დიდად აზარალებს ამერიკის შეერთებულ შტატებს, რაც სრულებით განმარტოებულად დასტოვებს ინგლისს იმ შემთხვევისათვის, თუ დიდი ომიანობა ასტყდა.

მეორე დეპუტატი, მთა-მადნის მუშათა კავშირის თავმჯდომარე, ბერტი კიდევ უფრო მკაცრად შეეხო ჩემბერლენის პროექტს. როგორც ვიცით, ჩემბერლენი დამოენის შემოსავლიდან ჰპირდებოდა მუშებს სიბერისაგან დამზღვევ კასის დაარსებას; ამის გამო ბერტს უთქვამს: ძნელია კაცმა გამონახოს ისეთი ცუდი წყარო დამზღვევ კასისა, როგორც დასამუშავებელ მასალის და სანოვაგის ბაჟი არისო. ასეთი გზა აუცილებლად მიგვიყვანს ეროვნულ უბედურებასა და გაკოტრებასთანო.

საფრანგეთი. ნაციონალისტ დეპუტატის სივტონის არჩევანი უკანონოდ იცნო პალატამ და ამიტომ პარიზის მეორე საარჩევანო ოლქში ახალი არჩევნებია დანიშნული. სხვათა შორის, კანდიდატად გამოდის „რესპუბლიკელი დემოკრატი და ლიბერალი კათოლიკე" მღვდელი ალეგრე, რომელმაც ამას წინად სახელი გაითქვა პარიზის არხიეპისკოპოსთან ბრძოლით. ალეგრემ შეუტყო ერთ თავის თანამოსამსახურეს, რომ მას უკანონო კავშირი ჰქონდა მცირე-წლოვან ქალთან. სკანდალის თავიდან ასაცილებლად ეს ამბავი პირადათ შეატყობინა არხიეპისკოპოსს. დამნაშავე სამსახურიდან დაითხოვეს და სადისციპლინო სასჯელიც მოხადეს, მაგრამ ალეგრესაც ცუდი დაჰმართეს ამ საქმისთვის: ყოვლად უმიზეზოდ იგი შეიძულეს, ახადეს მღვდლობა, მერე ისევ დაუბრუნეს, მაგრამ პარიზის უკანასკნელ ეკკლესიაში გადაიყვანეს. დიდის ცდისა და შრომის შემდეგ ალეგრეს აღუდგინა პაპმა შებღალული სახელი და პატიოსნება. მაგრამ უბრალოდ შეურაცხყოფილი მღვდელი ამას არ დასჯერდა: მიჰმართა მოსამართლეს და უჩივლა არხიეპისკოპოსს—დამიბრუნე პარიზის ეპარხიის მღვდლობა და ზარალი მიზღეო. გაბედულ მღვდელს შეჩვენებას დაემუქრნენ, თუ საჩივრის შინაარსი გამოქვეყნდებოდა. მაშინ ალეგრემ მიჰმართა პალატას თხოვნით და საგანგებო კომისიამ დაადგინა ეთხოვოს სარწმუნოებათა მინისტრს შეაგონოს არხიეპისკოპოსს, რომ მატერიალურად ასე მძიმედ დასჯილ მღვდელს ფული მისცეს დაჰმრევლიც დაუნიშნოსო.

მღვდელ ალეგრეს ისტორია საკმარისად ახასიათებს საფრანგეთის სამღვდელოებას, რომელიც ეხლა სინიდისის თავისუფლების სახელით ებრძვის რადიკალურ სამინისტროს.

✦ ინგლისისა და საფრანგეთის დაახლოვება მეტად საყურადღებო მოვლენაა თანამედროვე საერთაშორისო დამოკიდებულების ისტორიაში, ბევრად უფრო საყურადღებო, ვიდრე, მაგალითად, იტალიისა და საფრანგეთის დაახლოვება.

საქმე ის არის, რომ საფრანგეთი უახლოვდება და მეგობრულ განწყობილებას ჰქმნის ისეთ სახელმწიფოსთან, რომელიც ყველგან და ყოველთვის შეურიგებელი მეტოქე და მტერია რუსეთის პოლიტიკისა. ცხადია, რომ რუს-ფრანგთა კავშირი ისე „გულითადი" და მჭიდრო აღარ არის, როგორც ეს ამ სამიოთხი წლის წინად იყო. ამითი აიხსნება მწარე კილო რუსულ გაზეთებისა, როცა მოკავშირის საერთაშორისო პოლიტიკაზე ლაპარაკობენ... სამაგიეროთ ინგლისის პრესსა სიხარულით ეგებება ამ ახალ მოვლენას: ორი უგანათლებულესი ერი ერთმანერთს ვუახლოვდებით, ვუმეგობრდებით, ჩვენც მოგებაში ვიქნებით და საერთაშორისო მდგომარეობაც დიდად გაუმჯობესდებაო. საფრანგეთის დაწინაურებული ჟურნალ-გაზეთობა და პოლიტიკური მოღვაწენიც ასე მსჯელობენ.

ედუარდ მეშვიდე ოფიციალურად ესტუმრა საფრანგეთს. ეხლა საფრანგეთის პრეზიდენტმა უნდა გადაუხადოს სამაგიერო. ინგლისური გაზეთები სიამოვნებით ეგებებიან ემილ ლუბეს ლონდონში მისვლას. სხვათა შორის, „ტაიმს"-ი სწერს: „ეს ვიზიტი დამყარებულია ეროვნულ ინტერესზე და ერის მოწონებაზე; იგი კიდევ უფრო განამტკიცებს იმ გულითად თანხმობას ინგლისსა და საფრანგეთს შორის, რომელიც აღბეჭდა მეფის პარიზში ყოფნამ. პრეზიდენტს უეჭველად უდიდესის გულითადობით შეხვდებიან ინგლისელები. ინგლისის ერს კარგად ესმის, თუ რამდენად სასარგებლოა ახლო მეგობრული დამოკიდებულება საფრანგეთთან. ყოველი ღონისძიება იქნება ნახმარი, რომ სამაგიერო გადაუხადონ საფრანგეთს ინგლისის მეფის მშვენიერ დახვედრისათვის. ამ დახვედრამ ცხადად დაგვანახვა, რომ საფრანგეთიც იმასვე გრძნობს ინგლისისადმი, რასაც ინგლისი საფრანგეთისადმი".

ახალი ამბავი

✦ მოგვივიდა „წერა-კითხვის" გამავრცელებელ საზოგადოების მიერ შემუშავებული „წესები უგან. თავადის გრიგოლ დადიანის ზრდილობის? მიცემისა". ამ წესების ძალით, საპრემიოდ

თხზულება უნდა წარედგინოს საზოგადოებას 1906 წლის პირველ იანვრამდე. საკონკურსო თხზულება უსათუოდ ქართულად უნდა იყვეს დაწერილი. პრემია—400 მანეთი მიეცემა იმას, ვინც წარადგენს საუკეთესო თხზულებას: 1. საქართველოს წარსულ ცხოვრების შესახებ, 2. ქართულ ენის შესახებ და 3. ქართულ ძველ ან ახალ მწერლობის შესახებ. მოგვყავს აქვე მეორე, მესამე და მეოთხე პარაგრაფები წესებისა:

§ 2 თხზულებას საქართველოს წარსული ცხოვრების შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1. პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელის წარსული ცხოვრებისა ანუ რომელისამე იმის ეპოქისა, 2. სოციალ-ეკონომიური ისტორია, სრული ანუ რომელისამე ეპოქის, 3. საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია როგორც სრული, ისე რომელისამე ეპოქისა, 4. სამხედრო ისტორია, 5. იურისპრუდენცია, 6. მითოლოგია.

§ 3. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1. ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა—ეტიმოლოგია ან სინტაქსი, 2. შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, 3. გამოკვლევა ქართული ენისა შედარებით უცხო ენებთან, 4. ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი, 5. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 6. უცხო ენებთან მონათესავე ქართული სიტყვების ლექსიკონი, 7. უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

§ 4. თხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: 1. ქართული მწერლობის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, 2. ერთ-ერთის მწერლობის დარგის სრული ან რომელისამე ეპოქის ისტორია, 3. ერთ-ერთის ან რამდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ-მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, 4. დამოკიდებულება ქართული მწერლობისა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართული მწერლობისა, ისე რომელისამე კერძო ეპოქისა, 5. სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

◆ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა კოკჩაევმა შეიმუშავა პროექტი სავალდებულო დადგენილებათა **სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა კვირაობით დაკეტვის** შესახებ. ამ პროექტით, დაწესებულებები უნდა გაიღონ მხოლოდ 12-დან 2 საათამდე. ეს პროექტი პოლიცმეისტერსაც გაეგზავნა. ჰფიქრობენ, პროექტი შეავსონ იმით, რომ სურსათის მაღაზიებს, საკონდიტეროებს, პურის საცხობებს და სხვას აეკრძალოთ მთელ დღეს ვაჭრობა. ეს საცხობები უნდა გაიღონ მხოლოდ დილის 10 საათამდე, შემდეგ მთელის დღით დაჰკეტონ. საპარიკმახეროებში მუშაობა 12-დან 2 საათამდე უნდა იყოს.

◆ გუშინ-წინ, 29 მაისს, შესდგა წლიური კრება **სიფხიზლის საზოგადოების წევრებისა**. ანგარიშის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ აირჩიეს გამგეობის წევრები: ლ. მღებროვი, ი. დოლუხანოვი, ა. ევანგულოვი, ნ. ხუდადოვი, ც. საფრონოვი, ვ. თუმანოვი, კობაკოვი, ხატისოვი, მურაშკო, ელიავა, აგასოვი და კულანდა. კანდიდატებად—გ. თუმანოვი, ნ. ქართველიშვილი, ი. ბარათაშვილი, გ. ჯაფარიძე და მ. დემურიასი; სარევიზიო კომისიის წევრებად—კურენივი, კარამურზა და პშედბარსკი.

სიფხიზლის საზოგადოების განყოფილების გახსნა ითხოვეს ახალციხელებმა და საზოგადო კრებაც სიამოვნებით მიეგება ამ სურვილს.

◆ მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეისათვის დანიშნულია კრება **სახალხო კითხვებისა და წარმოდგენების** საქმეების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრებამ უნდა განიხილოს წასული წლის ანგარიში და ხარჯთ-აღრიცხვა მიმდინარე წლისა. დასასრულ მოხდება არჩევნები სექციის წევრებისა. კრება მოხდება სახალხო თეატრში ავჭალის ქუჩაზე, საღამოთი.

◆ ტფილისის ქალაქის საფინანსო კომისიამ განიხილა გამგეობის წინადადება ქალაქის მცხოვრებთა აღწერის შესახებ და საჭიროდ სცნო აღწერის ნაცვლად დაარსდეს **სასტატისტიკო ბიურო**. კომისია შეიტანს გამგეობაში მოხსენებას ამ ბიუროს დაარსების შესახებ. ბიურო უნდა დაარსდეს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის მიერ შემუშავებულ პროექტის თანახმად. წელიწადში ბიუროს დასჭირდება 3040 მანეთი. სტატისტიკოსს ექმნება წელიწადში 1500 მან.

◆ 30 მაისისთვის ტფილისის ოლქის სასამართლოში განსახილველად დანიშნული იყო საქმე სამსონ მიქაძისა, რომელსაც რკინის გზის **დეპოს უფროსის შმიგანოვსკის** მოკვლის განზრახვა ბრალდებოდა. ვიდრე საქმის გარჩევას შეუდგებოდნენ, ვექილმა ა. ბახუტაშვილმა ითხოვა, საქმე გადადებული იყო, რადგან დაბარებული არ იყო ერთი უმთავრესი მოწმე. სასამართლომ შეიწყნარა ვექილის თხოვნა და საქმის განხილვა სხვა დროისათვის გადასდო.

◆ გუშინ, 30 მაისს, პალატამ განიხილა საჩივარი **პლიუშჩევსკის მემკვიდრეებისა**, რომელნიც თავ. მუხრან-ბატონის მემკვიდრეებს ედავებიან 100 ათას მანეთამდე. განაჩენის გამოცხადება 11 ივნისისათვის გადასდეს.

◆ რკინის გზის **სატეხნიკო სასწავლებელმა** შუამდგომლობა აღძრა ამ სასწავლებლის გაფართოვების შესახებ. ეხლა სამინისტრომ უკანვე დაუბრუნა პროექტი და ხარჯთ-აღრიცხვა. ხარჯი ნაანგარიშევია 70,000 მანეთი. სამინისტროს ეს ხარჯი დიდად უცვნია და შემოუთვლია შეამციროს.

◆ ამას წინად **ყაზბეგის ქალთა სკოლაში** მოხდა გამოცდა ბავშვებისა, ამისთვის მრავალი საზოგადოება იყო მიწვეული. გამოცდამ დაამტკიცა, რომ საქმე ძალიან კარგად არის დაყენებული: ბავშვები თამამად და ცოდნით უპასუხებდნენ ეგზამენატორებს კითხვებზედ, მღეროდნენ კარგად. პაწაწინა ქალების ხელსაქმემ ხომ ყველა იქ მყოფი გააკვირვა. ვუსურვებთ სკოლას წარმატებას. მეორე დღეს სკოლის მოწაფე-ქალები სასეირნოდ იყვნენ თავიანთ მასწავლებლებით საბოტანიკო ბაღში, სადაც სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელი სეით იაშვილი ესაუბრა ბავშვებს ბუნების-მეტყველების შესახებ. ბავშვები გახარებულნი დაბრუნდნენ შინ.

◆ 29 მაისს სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების სადგომში მოხდა **მეორედ საჯარო გაყიდვა** ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიის იმ მამულების გასასყიდათ, რომელთა პატრონებმაც ვადაზე გადასახადი არ წარადგინეს. ასეთი მამულები იყო 38; გაიყიდა 28 და 10 მამული ბანკს დარჩა.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ მოიწონა წინადადება **სახელოსნო სასწავლებლის** დირექტორისა მოსწავლეთა ექსკურსიის შესახებ. მოსწავლენი უნდა წავიდნენ მოსკოვსა და პეტერბურგს ქარხნების დასათვალიერებლად. გამგეობამ დაადგინა, სთხოვოს საბჭოს ამ ექსკურსიისათვის 300 მანეთი.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისში არსდება **ბებია-ქალთა ურთ-ერთ დამხმარებელი საზოგადოება**. შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდეც დაამტკიცა წესდება. ხვალ, 1 ივნისს, ნაშუადღევის 1 საათზე საბებიო ინსტიტუტის სადგომში მოხდება პირველი კრება ახალ საზოგადოებისა.

◆ 27 მაისს ტფილისის **ქალთა საეპარქიო სასწავლებელში** დამთავრდა გამოცდა უკანასკნელ კლასის მოწაფე-ქალებისა. სულ სწავლა დაამთავრა წელს 27 ქალმა. მათ შორის 3 რუსია, დანარჩენი ქართველი. ამათი სახელი და გვარი: ბაირამაშვილი ბარბარე, ბაკურაძე ოლღა, ბერძენიშვილი ანასტასია, ბერიშვილი ეკატირინე, გამრეკელი ალექსანდრა, დეკანოზიშვილი სიდონია, ჯინჯიხაძე ნეოფილა, კაპანაძე დარია, კომარ ოლგა, კახაბერი ალექსანდრა, მახათაძე თამარ, მღებრიშვილი მარიამ, მთიულიშვილი ვერა, მშველიძე ეკატირინე, ნოზაძე ანნა, ნასარიძე ვალენტი, პონომარიოვი ვერა, პონომარიოვი ნინა, სიხარულიძე ანნა, სულხანიშვილი ელისაბედ, თავდგირიძე თამარ, ტყემალაძე ელისაბედ, ცოფურაშვილი ელენე, ჩაგუნავა მართა, ჩორბაძე მარიამ, ჩუხრუკიძე მარიამ. ხვალ დილით დანიშნულია აქტი. აქტზე დაურიგდებათ კურს-დამთავრებულთ ატესტატები.

◆ როგორც გვატყობინებენ, **სოფელ ნატახტარში** (დუშ. მაზრა) მომავალ სამოსწავლო წლიდან დაარსდება ქალებისა და ვაჟებისათვის ორ-კლასიანი სამრევლო სასწავლებელი. ექსარხოსის განკარგულებით, უკვე გადაიდვა საჭირო ფული შენობის ასაგებად.

◆ 27 მაისს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესსიამ ბათუმში განიხილა საქმე პორ. ნადარეიშვილისა, რომელსაც სხვებთან ერთად **ჩაქვში რახმანინოვის თავდასხმა ჰბრალდებოდა**. სასამართლომ გადაუწყვიტა ნადარეიშვილს 12 წლით კატორგაში გაგზავნა.

◆ ქალაქის **საპროფესიონალო სასწავლებელში** ეგზამენები მოხდება 2, 4 და 5 ივნისს.

◆ საქართველოს **ექსარხოსის კანცელარიის** მმართველი პეტროპავლოვსკი გადაიყვანეს მოსკოვში. იმის ადგილას დაინიშნა მასწავლებელი ქუთაისის სასულიერო სემინარიისა ტრელინი.

◆ მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისის **სასულიერო სასწავლებლის** ზედამხედველი პაშკევიჩი გადაიყვანეს მოსკოვის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად. იმის ადგილას, როგორც გავიგეთ, დაინიშნა ზედამხედველი სენაკის სასულიერო სასწავლებლისა ი. ბუტირსკი.

◆ **საქართველოს** ექსარხოსი 8 ივნისს პეტერბურგს მიემგზავრება.

◆ გუშინ, 30 მაისს, რკინის გზის **სატეხნიკო სასწავლებელში** დასრულდა ეგზამენები. წელს სწავლა გაათავა 35 კაცმა.

◆ ხვალ, 1 ივნის, ტფილისის ქალაქის გამგეობასთან ერთად სარევიზიო კომისია **დაათვალიერებს** ნავთლუღში ქალაქის საკუთარ მიწებს „ნავთის ქალაქს“, წყლის მილის სახელოსნოს, ღამის თავშესაფართა სადგომებს, სადეზინფექციო სადგომს, დედათა საპროფესიონალო სახელოსნოს და ქალაქის სხვა დაწესებულებებს.

◆ ხუთშაბათს, 29 მაისს, სხდომა ჰქონდა **ქუჩებისა და მოედნების მომკირწყლავ** კომისიას. პირველად კომისიამ დაადგინა მიენდოს ი. მ. ალიხანოვისა, ნ. ა. გრიქუროვისა და გ. კირაკოზოვისაგან შემდგარ კომისიას შეიმუშაოს პროექტი სახელმძღვანელო ინსტრუქციისა. შემდეგ კომისიამ დაადგინა, რომ საჭირო მასალის მოსაპოვებლად სამუშაო საიჯაროდ გაიცეს და როცა მასალა ამ გზით შემზადდება, შემდეგ ქუჩების მოკირწვლა იჯარით გაიცეს.

◆ როგორც გორის მაზრის სოფ. **მეჯვრისხევიდან გვატყობინებენ**, 27 მაისს იქ დიდი ნიაღვარი ყოფილა. ხევი ადიდებულა და წაულეკია ვენახები, ნათესობა და ზოგგან სახლებშიაც შევარდნილა. ზარალი დიდია. ამბობენ, რამდენიმე კაციც დაიღუპაო.

◆ როგორც გვატყობინებენ, **დაბა სურამში** წლეულსაც აპირებენ მასწავლებლები „სარეპეტიციო და მოსამზადებელ კლასების“ გახსნას ამ ზაფხულობით. თხოვნა ნებართვისა უკვე მიცემულია და თიბათვიდან დაიწყება სწავლა.

◆ **მიწის მზომელთა სასწავლებელში** ეგზამენები უკვე დამთავრდა. მომავალ კვირას მოსწავლენი საზაფხულოდ და საპრაქტიკო მუშაობისთვის სოფ. ახალ-ქალაქში წავლენ.

◆ გამომძიებელმა ევანგულოვმა დაამთავრა გამოძიება **ჯაგრიშვილის მოკვლის** შესახებ. შეკრებილი მასალა წარედგინება ბრალმდებელს.

◆ გუშინ, 29 მაისს, **სასინოდო კანცელარიის მოხელეებმა და ქალაქის სამღვდელოებამ, საქართველოს ექსარხოსის თანდასწრებით, გაუმართეს სადილი ამავე კანცელარიის მდივანს ი. ს. ჩიტაძეს 50 წლის სამსახურისა გამო. მოხელეთ ჩიტაძეს მიართვეს შევერცხლილი ალბომი.**

◆ შერემეტიევის ქუჩაზე მცხოვრებს რკინის გზის ხელოსან-მჭედელს ნიკიტა არტემოვს რაღაც მიზეზისა გამო ჩხუბი მოსვლია ცოლთან-ეკატირინესთან, აუღია დიდი საკატლეტე დანა და რამდენჯერმე თავში დაურტყამს. ქალის ყვირილზე შემოვარდნილან და გადაურჩენიათ ქალი. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

რუსეთის ქრონიკა

◆ ამას წინად ვწერდით, რომ უნდა მოხდეს კრება წერა-კითხვისა და სახალხო განათლების გამავრცელებელ საზოგადოებათა წარმომადგენლებისათ. მთავრობამ ნება დართო ასეთ კრების მოხდენისა. კრების ორგანიზაცია, მიწერ-მოწერა და სხვა საქმე მიენდო პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

◆ საშუალო-სკოლის რეფორმასთან ერთად უმაღლესი მთავრობა ჰფიქრობს განსაკუთრებულ კურსების დაარსებას, რომელთაც მასწავლებელნი უნდა მოამზადოს საშუალო სკოლისათვის. ამ კურსებს მეტად ფართო პროგრამა ექმნებათ. უმთავრეს ადგილს, რასაკვირველია, პედაგოგიკას დაუთმობენ. ასეთი კურსები საზღვარ-გარედ არსებობს და ჰფიქრობენ იმათის პროგრამით ისარგებლონ. საქმე ამ გვარ კურსების დაარსების შესახებ ჯერ არ გადაწყვეტილა საბოლოოდ. ყველა ამას გარდა ახალ საშუალო სკოლაში ჰფიქრობენ დიდი ყურადღება მიაქციონ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ აღზრდას. კერძოდ, უნდა ძალიან გააფართოვონ სამღვთო სჯულის სასწავლება საერო სასწავლებლებში.

◆ არა პირდაპირ გადასახადთა დეპარტამენტმაც განკარგულება მოახდინა სიფხიზლის სამზრუნველოების საყურადღებოდ, რომ ამ სამზრუნველოებმა უმთავრესი ყურადღება მიაქციონ საჩაიების, სასადილოებისა და ღამის თავშესაფარების გამართვას და არა წარმოდგენებსა და გასართობებს.

◆ ამას წინად მოხდა რკინის გზის მიმოსვლის უფროსთა კრება. კრებამ საჭიროდ სცნო ნება დაერთოთ რკინის გზის სადგურების უფროსებად, იმათ თანაშემწეებად და კასსირებად ქალებიც დანიშნონ ხოლმე. იმათის აზრით, უნდა მიიღონ სამსახურში 25 წლისაზე უფროსნი, რომელთაც საშუალო განათლება აქვთ მიღებული.

პრესსა

გუშინ რუსეთის ქრონიკაში მოკლედ მოყვანილი გვქონდა, თუ რას უნდა წარმოადგენდეს მთავრობის მიერ განზრახული „ექვს კლასიანი სასწავლებელი“. გარდა ჩვეულებრივ საგნებისა (სამღვთო სჯული, რუსული ენა, ისტორია, გეოგრაფია, მათემატიკა) ამ ახალ სკოლებში უნდა ასწავლონ ბუნების მეტყველება, კანონმდებლობა და სამშობლოს მეტყველება. სამაგიეროდ არ უნდა ასწავლონ არც ერთი ახალი ენა. მთავრობის აზრით, ამ ექვს-კლასიან სასწავლებლებმა უნდა მისცენ დასრულებული საზოგადო განათლება და აგრეთვე უფლებაც გუბერნიაში სამსახურისა.

„ბირჟ. ვედ.“ არ არის კმაყოფილი ასეთის სკოლისა: ჯერ ერთი, არავითარი კავშირი პროგრამით არა აქვს იმ საშუალო სკოლასთან, რომელიც უმაღლეს სასწავლებლებისათვის ამზადებს ახალთაობას და მეორე—ვერც საგუბერნიო დაწესებულებათათვის ივარგებს ასეთ სკოლაში აღზრდილი ახალგაზდა.

თუ განზრახვა არის რომ განათლებული მოხელენი მოამზადონ საგუბერნიო სამსახურისათვის, შეუძლებელია ექვს-კლასიანმა სკოლამ ამ მიზანს მიაღწიოს და ვერც თექვსმეტი წლის ახალგაზდა ივარგებს საქმისათვის... სად შეუძლია 14-15 წლის ბავშვს (ცხრა წლისა უნდა მიიღონ სკოლაში) კანონმდებლობის სერიოზულად შესწავლა; მომავალ მოხელეთათვის კი ეს უმთავრესი და აუცილებელი საგანია... და თუ ექვსკლასიან სკოლის მოსწავლეთათვის მარტო გადამწერლის ადგილები იქნება გუბერნიაში, სკოლას მოსწავლე ძალიან ცოტა ეყოლება.

⁂

„ვეს. ი.“-ში დაბეჭდილია შინაარსი ს. კ. გოვოროვის მოხსენებისა. მოხსენება მეტად საყურადღებო საგანს ეხება—ქორწინებას სახალხო მასწავლებელთა შორის. როგორც ვუწყით, ზოგგან მასწავლებლებს გათხოვების ან ცოლის შერთვის ნებას არ აძლევენ. მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მასწავლებელი ოჯახს მოუნდება და მხნედ და ერთგულად ველარ მოეკიდება სკოლასაო. ზემოხსენებულ მოხსენების ავტორს დიდ-ძალი მასალა ჰქონია ხელთ, სხვათა შორის, საპასუხო ფურცლები, 70 მასწავლებლისაგან (ქალისა და კაცისაგან) მიღებული. ავტორი ამტკიცებს, რომ ქორწინების აღკრძალვა ძალიან ცუდად მოქმედებს მასწავლებლებზე.

წერილები უცოლო და გაუთხოვარ მასწავლებლებისა სავსეა საყვედურებითა და სამდურავებით. სწუხან, რომ მუშაობისთვის ხალისი არა აქვთ, რომ ნერვების სისუსტე უჩნდებათ, ბრაზდებიან, ბავშვის ფსიხოლოგიას ვერ იგებენ. ამ წერილების კითხვა სულითა და ხორცით საღ კაცზე მეტად ცუდად მოქმედებს. ჰგრძნობ, რომ შენ წინ უბედური ხალხია, რომლისთვისაც მიუწდომელია ის მცირე რამეც კი, რაც სხვისთვის

ადვილი საშოვნელია. მარტოობა—აი, ის სენი, რომელიც გულსა და სულს უღრღნის მასწავლებელთ. როგორც ერთი კორესპონდენტი გვწერს, ერთ მასწავლებელ ქალს არ შეუძლიან ღამე დაიძინოს, თუ ლოგინში გვერდით ტიკინი არ მოიწვინა. სულ სხვაა ცოლიან და ქმარ-შვილიან მასწავლებელთა საქმე. ესენიც უჩივიან გაჭირვებას, სიღარიბეს, უფულობას, სადგომის უვარგისობას, მაგრამ სულითა და გულით მთელნი და საღნი არიან, საქმეს შეჰხარიან, სიცოცხლე სწყურიანთ და ოპტიმისტურის თვალით უყურებენ ყველაფერს.

ქუთაისის სააღგილ მამულო ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება

26 მაისი

ამ დღეს კრება შეეხო ბანკზე დარჩენილ მამულების საქმეს. როგორც გამგეობის მოხსენებიდანა სჩანს, ბანკზედ დარჩენილი ყოფილა 98 მამული, აქედან 49 მამული 1901 წლის 4 ივლისის კანონის თანახმად „მიჰყიდეს სხვა და სხვა პირთ“. გამგეობას სექტემბერში დაუნიშნავს ამ მამულების გამგე, რომელსაც, როგორც გამგეობა ამბობს, ცუდის ზამთრისა და უგზოობის გამო ჯერჯერობით ძლიერ ცოტა, თითქმის არაფერი, გაუკეთებია. გამგეობამ არ დამალა, რომ ბანკზე დარჩენილ მამულების საქმე ძლიერ ცუდადაა დაყენებული; რომ მამულების შემოსავალი ხარჯს არა ჰფარავს. ამიტომ საჭიროდ სცნობს, რომ მამულები, რაც შეიძლება, მალე გაიყიდოს, თუნდ ნაკლებ ფასადაც.

თავ. დ. გ. წულუკიძე იმ აზრისაა, რომ მამულები ხელმეორედ უნდა გაიზომოს, შეფასდეს და შემდეგ, მცირედი ფასითაც-კი, გაიყიდოს ერთიანად, რადგან ბანკს ამ მამულებისაგან ზარალის მეტი არა აქვს-რა. ს. დ. ჯაფარიძემ აღნიშნა ამ მამულების სამწუხარო მდგომარეობა. ბანკის შემოსავლის დიდი ნაწილი მამულების ზარალის დაფარვას უნდება: 1900 წელს ამისთვის გადაიდო 30,000 მანეთი, 1901 წელს—20 ათასი და 1902 წელს—10 ათასიო. ტფილისის ბანკს ძლიერ ცოტა აქვს ჩარჩენილი მამული: ქუთაისის ბანკზე 98 გაუყიდველი მამულია, ტფილისისაზე მხოლოდ ექვსი მამული. ჯაფარიძის აზრით, მსესხებელს ბევრს ვადას აძლევენ ფულის შემოსატანად. ჯაფარიძეს საჭიროდ მიაჩნია ბანკის რთულ საქმეების წარმოება მიენდოს გამოცდილ ვექილს; ხოლო, თუ საქმე დაბებში ირჩევა, იმ შემთხვევაში იმისი დაცვა ადგილობრივ ვექილს მიენდოს. ამ ვექილებმა საქმის წარმოების ვრცელი ანგარიში უნდა წარუდგინონ გამგეობას. დარჩება თუ არა ბანკს მამული, მაშინვე დაიმტკიცოს და ვაჭრობა გამოაცხადოს. რაც შეეხება მამულების „ზაპროდაჟას“, ეს უსათუოდ უნდა მოისპოს. გარდა ამისა გამგეობამ იყოლიოს მამულების გასაყიდად შუა კაცი, რომელსაც გასამრჯელოდ მიეცემა გაყიდულ მამულების 1%-დან 5%-მდის, მაგრამ თითო მამულზედ არა უმეტეს 200 მანეთისა. შემდეგ წაიკითხეს ბანკის ვექილის პ. ჩხეიძის განმარტება, სადაც ის არა სთვლის თავს დაანაშავედ, რომ დარჩენილი მამულები თავის დროზედ არ ერთმევათ ძველ პატრონებს; გამგეობა თუ არ მიბრძანებდა, ისე მე ნება არ მქონდაო. აღმოჩნდა, რომ გამგეობა მოვალე არ ყოფილა გაეხსენოს ვექილს, ეხლა ამ კაცს უჩივლე და მამული ჩამოართვიო.

კამათის შემდეგ კრებამ დაადგინა: გამგეობამ მიიღოს სახელმძღვანელოდ ს. დ. ჯაფარიძის შენიშვნები თავ. ფალავას შესწორებით, ე. ი. რომ მამულები ბანკზე დარჩენიდან სამის თვის შემდეგ მტკიცდებოდეს და ისევ დარჩეს მამულების „ზაპროდაჟას“ წესი. შემდეგ კრებას უნდა განეხილა დარჩენილ მამულების გამგის ინსტრუქცია. კრებამ გადასცა იგი კომისიას, რომელშიაც აარჩიეს: გ. ფ. ზდანოვიჩი, თავ. გ. ჩიჩუა, თავ. ე. გ. გელოვანი, თავ. კ. ს. ერისთავი და მ. ე. დარახველიძე.

27 მაისი.

კრების დაწყებისავე გ. ფ. ზდანოვიჩი შეუდგა კომისიის მიერ შესწორებულ იმ ინსტრუქციის კითხვას, რომელიც დარჩენილ მამულების მმართველის სახელმძღვანელოდაა შედგენილი. მცირე კამათის შემდეგ კრებამ მიიღო ინსტრუქცია.

შემდეგ კრება შეუდგა სათავად-აზნაურო სკოლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას, რომელიც წარსული წლის ხარჯთ-აღრიცხვაზე 760 მანეთით მეტია. სკოლის სამზრუნველო კომიტეტმა ითხოვა, რომ სენაკის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებელს სპ. ა. მატარაძეს, რომელსაც 18 წლის ერთგულ და ნაყოფიერ სამსახურის შემდეგ თავი დაუნებებია სასწავლებლისთვის, მიეცეს ერთდროულად ნახევარის წლის ჯამაგირი, ე. ი. 375 მანეთი. კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხარჯ-აღრიცხვა.

ი. ი. ოცხელი აღნიშნავს, რომ სათავად-აზნაურო სკოლა, სადაც ამ ჟამად 500 მოწაფე სწავლობს, დიდს გაჭირვებაშია, საზოგადოება კი ღირსეულ ყურადღებას არ აქცევს. საჭიროა შემდეგი კლასების გახსნა, რადგან ოთხი კლასის გათავების შემდეგ მოწაფეები ადგილს ვერ შოულობენ სხვა სასწავლებლებში და იძულებულნი არიან ან აფთიაქის მოწაფეებად წავიდნენ, ან სადმე მწერლის ადგილი იშოვნონ. ეხლა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღვძარით მეხუთე კლასის გახსნის შესახებ, მაგრამ, რადგან სხვა საშუალება არა გვაქვს, იძულებულნი ვართ მოსამზადებელ კლასებში პარალელური განყოფილებანი დავხუროთო. აღნიშნავს აგრეთვე სკოლის შენობის შეძენის საჭიროებას: 23 წლის განმავლობაში სკოლის შენობის ქირა გადაუხდია ბანკს 70,000 მანეთი; შენობა რომ ჰქონოდა, მაშინ ეს ფული ბანკს დარჩებოდა. დასასრულ გაახსენა საზოგადოებას წარსულ კრებებზე ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორის ექვთ. თაყაიშვილის მიერ აღძრულ, საკითხი, რომ სკოლის მოსამსახურეთ ყოველ ხუთის წლის სამსახურის შემდეგ ემატებოდეთ წლიური ჯამაგირის ერთი მეხუთედი ნაწილი. ბ-ნ ოცხელის აზრით, ამით სკოლის ხარჯს მიემატება წლიურად 3180 მანეთი.

ს. დ. ჯაფარიძე. სკოლის ხარჯთ-აღრიცხვა კრებამ უკვე დაამტკიცა. თუმცა ბ-ნ ოცხელის წინადადება ძლიერ სიმპატიურია და წინააღმდეგი არავინ უნდა იყვეს, თუ კი შეძლება გვექნება, მაგრამ მოხსენება ჯერ გამგეობამა და ზედამხედველ კომიტეტმა უნდა განიხილონ და თავისი აზრი წარუდგინონ კრებას. ამიტომ დავადგინოთ, რომ ამ საკითხის განხილვა მიენდოს გამგეობის, ზედამხედველ კომიტეტისა და სკოლის სამზრუნველო კომიტეტის შეერთებულ სხდომას, რომ მომავალ წლის კრებას წარუდგინოს თავისი აზრი ამ საგნის შესახებ.

თავ. პ. გ. გელოვანი. თუ ჩვენ არ გავაუმჯობესეთ მასწავლებელთა მდგომარეობა, ისე ჩვენ ხეირიანი მასწავლებელი არ მოგვივცდის. ამიტომაა, რომ ყველა სახელმწიფო სამსახურში შედის, სადაც აძლევენ ჩინს, უმატებენ ჯამაგირს, უნიშნავენ პენსიას და სხვა.

ბ. პ. მოსეშვილიც იმ აზრისა იყო, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სკოლას; ყოველ წლობით თითო კლასი უნდა მიემატოს სასწავლებელს, სანამ რვა კლასიანად გახდებოდეს. საჭიროა, აგრეთვე საკუთარ შენობის შეძენა.

დიდი კამათი გამოიწვია იმ 840 მანეთმა, რომელიც ეძლევა წმ. ნინოს საქალებო სასწავლებელს ქართული ენის მასწავლებლის ჯილდოთ. კამათიდან გამოირკვა, რომ სასწავლებელში ძლიერ ცუდადაა დაყენებული ქართულის ენის სწავლება: თითო კლასში თითო გაკვეთილია კვირაში და მაშინაც ორ-ორ განყოფილებას ერთად ასწავლიანო; თუმცა ისიც აღნიშნეს, რომ უკანასკნელ სამოსწავლო წლის განმავლობაში ცოტათი გაუმჯობესებულა სწავლების საქმე. კრებამ დაადგინა: მიეცეს სასწავლებელს 840 მანეთი, მაგრამ იმ პირობით კი, რომ ეს ფული მოხმარდეს ქართულ ენის სწავლებას და ამასთან მასწავლებლის დანიშვნაში გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლიც იღებდეს მონაწილეობას.

კრებამ წელსაც გადასდო სამეურნეო სასწავლებლის სასარგებლოდ 3,000 მანეთი; ხოლო იმ 4,000 მანეთზე, რომელსაც სკოლის მზრუნველი დ. ნ. ბაქრაძე თხოულობდა სკოლის შენობებზე გაწეულ ხარჯების დასაფარავად, კრებამ უარი განაცხადა.

შემდეგ კრებას მოხსენდა გუბერნიის თავად-აზნაურთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ბანკმა ყოველ წლივ აძლიოს გუბერნიის წინამძღოლს წარმომადგენლობისთვის 3,000 მანეთი. საკითხი კენჭის ყრით გადაწყდა: 50 ხმის უმეტესობით 12-ის წინააღმდეგ კრებამ შეიწყნარა თავად-აზნაურთა კრების შუამდგომლობა.

კრება 28 მაისისთვის გადაიდო.

დონ-გადიანი.

თეატრი

ქუთაისი. ოთხშაბათს, 26 მაისს, ქუთაისის ქართულ თეატრს ისეთი ფერი დადო, როგორიც დიდი მესხიშვილის წასვლის შემდეგ არ უნახავს. მიზეზი კი იყო ნიჭიერი მსახიობი ნინო ჩხეიძის ასული, რომლის სასარგებლოდაც წარმოდგენილ იქმნა სუვორინისა და ბურენინის „მედეა“. ეს პიესა ქართულ სცენაზე რამდენჯერმე მინახავს, მაგრამ ისე კარგად, როგორც ნ. ჩხეიძე, არავინ ასრულებს. დაწვრილებით განხილვას აღარ გამოუდგები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ნიჭიერი მსახიობი მედეას როლში ეხლაც ძალიან მოეწონა საზოგადოებას. კარგი კრეუზა იყო ტფილისიდან ჩამოსული ქ-ნი დეჟაგას ასული; იმან საუცხოვოდ დაგვიხატა გულუბრყვილო, კეთილი, მოსიყვარულე და ნაზი მეფის ქალი. იმისი მოხდენილი თვალ-ტანადობა და მიხვრა-მოხვრაც თამაშს ხელს უწყობდა. ბ-ნ ქორიძესაც (იაზონი) არა უშავდა ზოგიერთს მომენტებში. დანარჩენების შესახებ კი სანუგეშოს ვერას ვიტყვით. წარმოდგენას საზოგადოება ბლომად დაესწრო, თუმცა ერთის საათის წინად ისეთი კოკისპირული წვიმა იყო, რომ ქუთაისის ქუჩები მდინარეებს მოგვაგონებდათ.

დონ-გადიანი

დღეს, 31 მაისისთვის, აჯდაბრის სახალხო თეატრში დანიშნულია წარმოდგენა. ადგილობრივი სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ან. ფურცელაძის დრამას „უჩნადებს“.

დაბა-სოფლები

სოფ. საქობო (ქიზიყი) ერთ საუკეთესო სოფელს წარმოადგენდა მთელს ქიზიყში უწინ თავის სიმდიდრით, მაგრამ ეხლა ეს სოფელი ძალიან დაეცა. ან-კი როგორ არ ჩამორჩებოდა სხვა სოფლებს, რადგანაც გზა-კვალი არა აქვს. ამ სოფელში მისვლა რომ გესაჭიროებოდეთ, სულ ბედი უნდა იწყევლოთ, რადგან თუ არ ქვემოთად, სხვაგრივ ძნელზედ უძნელესია აქ მისვლა; ქვემოთადაც კი საშიშია ოღრო-ჩოღრობზე სიარული. თუ სულ მიწასთან არ გასწორდა ეს სოფელი, ეს იმის მადლითა და წყალობით, რომ სიღნაღს ზედ აკრავს მერცხლის ბუდესავით. საზოგადოთ სარგებლობა იმათ შეუძლიათ, ვინც ქვემოთად სიარულს მთა-გორაზე კარგად შეჩვეულა. და ამათი სარგებლობენ ღარიბნი და ქვრივ-ოხერნი, რომელნიც თხებივით დახოხავენ ამ გზებზე და ყოველ დილით სიღნაღში ამოაქვთ სხვა-და-სხვა ჭირნახული—ზოგს თავის ვაი-ვაგლახით ნამაგდარი და ზოგსაც უფრო სხვისა—შეძლებულ ოჯახებისა, რომელთა ქალ-რძალნი ჯერ კიდევ თაკილობენ ბაზრად სიარულს და სანოვაგის გაყიდვას. ამ სოფლიდან ამოაქვთ უფრო რძე-მაწონი, კვერცხი და პური; ცოცხი, ქათმები. ხილეულობას ამ სოფელში იშვიათად შეხვდებით, გარდა ლეღვისა, ისიც უხეირო ჯიშისა, თუმცა შეეძლოთ კარგ ფასებში გაეყიდნათ ხილი, რადგან ადრე შემოდის. საქობოელებიცე უცხობდნენ სიღნაღელებს პურს და ნაქებნიც არიან შოთის პურის დაცხობით, ბევრი ქვრივ-ოხერი კვებავდა ამ ხელობით ობლებს, ახლა-კი, რაც ქიზიყში პურის მოსავალმა იკლო და ფქვილი რუსეთიდან შემოაქვთ, რაჭველები შემოვიდნენ სიღნაღში და პურის ცხობა ხელიდან გამოსტაცეს საქობოელებს.

ქონებით დაქვეითებასთან ხომ ცოდნით [illegible] ერთად დაეცა. აქ ჯერ სკოლის დაარსებაზე სულ უარს იყვნენ. მერე, როგორც იყო, 1897—9 წლებში გაამართეს სამინისტრო სკოლა, ორიოდე წლიწადი კიდევაც დანდალებდა სწავლა დაქირავებულ მინგრეულ-მონგრეულ შენობაში, მაგრამ მალე ეს შენობაც თავზე ჩამოენგრათ და სწავლა ძალა-უნებურად შეჩერდა. ზოგიერთთა გავლენით შეუდგნენ შენობის აგებას მთავრობის დახმარებით. ორი წლიწადიც ამის აშენებამ გასტანა და რა ვაი-ვაგლახით დაიხსნეს შენობა ამშენებლისაგან, მაგრამ მაინც სწავლა ვერ დადგა დონეზე. თითქოს ეძინათ და გამოიღვიძესო, რა-კი ჰნახეს შენობა დამთავრებული, ყველამ შვილები სკოლაში მიიყვანა. მოაწყდა აუარებელი მსურველი და მასწავლებელი კი ერთია. ყველას უნდა შვილი სკოლაში მიაბაროს და ყველას სურვილის შესრულება კი ვერ შესძლეს. მივარდა საქმე კენჭზე, მაგრამ კენჭზე ყველამ უარი სთქვა. მასწავლებელმა წესიერების დასაცველად სამაზრო ადმინისტრაციას მიჰმართა, მაგრამ ვერც ამან დასდო საქმეს წამალი და ჯერ ხნობით ისევ მოსწრებულმა საზაფხულო დრომ დაამშვიდა ხალხი. მომავალ ენკენისთვეში კი ისევ თავს გამოჰყოფს არეულობა, თუ არ ეცადნენ და არ მოაწესრიგეს როგორმე საქმე.

მაინც წელს რადაც ერთბაშად გამოცოცხლდა სოფელი. აქამდის სოფლის მოხელენი არხეინად სარგებლობდნენ გარემოებით და სოფელს ყურზედ ეძინა, მაგრამ ახლა მთელმა სოფელმა იგრიალა, მივარდა მამასახლისს და სასტიკი ანგარიში მოსთხოვა. ეჭვი შეიტანა ბოროტ-მოქმედებაზედ, მოსთხოვა ნებით დაენებებინა თავი თანამდებობისათვის. შეშინებული მამასახლისი დასთანხმდა, მაგრამ ეტყობა, ხალხს მიაძინებდა და მალე მივიწყებას მისცა თავი. სოფელმა ხელ-მეორედ იგრიალა და მაზრის უფროსთან გაემგზავრა საჩივლელად. თხოულობენ გამოცვლას.

წელს პურის მოსავალი მცირე იქნება. წვიმა ძალიან უჭირს, მაგრამ წვიმის მაგიერ ქარია, რომელმაც ისეც გამშრალი ნიადაგი გამოჰფიტა.

ვაზს ძალიან ასხია, მხოლოდ ხალხი წამლობას ვერ შეეჩვია და საეჭვოა, რომ ავადმყოფობამ არ გააფუჭოს, თუ სეტყვას გადაურჩა ამოდენა ჭექა-ქუხილისა და ქარიშხალის დროს.

სიღნაღიდან ტფილისამდის გზებზედ სულ ორ-სამ სოფლის ბოლოს უნახნს ყანებს კარგი პირი, დანარჩენი სულ დაკვალულია ქარებისაგან და ამასთან ძალზედ დაბალი. უწვიმობით შებეზრებულ მარტყოფელებს 26-ს მღვდელი წაუყვანიათ მინდვრად პარაკლისის გადასახდელად. ლოცვის შემდეგ მინდორზედ ჩამწკრივებულიყვნენ და ღვინოს შექცეოდნენ, შეღვინიანებულნი მღეროდნენ და თან ცას შესცქეროდნენ, ეგებ წვიმა გამოჩნდეს საიდანმე.

პროვინციელი.

ლარსი (საქართველოს სამხედრო გზა). არა ერთხელ და ორჯელ ყოფილა გაზეთებში აღნიშნული, რომ საქართველოს სამხედრო გზა ამ ჟამად უყურადღებოდ არის მიტოვებული. ზოგიერთ ადგილას გზა საშიშრად არის მინგრეულ-მონგრეული. სადგურ ლარსიდან კავკავისკენ სულ ვერსის მეოთხედის სიშორეზე არის ერთი ზურგ გამოშვერილი კლდე, თან დასაქანი მოსახვევი და ვიწრო გზა. აქ მოაჯირიც არ არის გაკეთებული, რის გამო ყოველთვის ხიფათია მოსალოდნელი მგზავრთათვის. ცხრას ამ თვეს მიდიოდა ტფილისიდან ფურგონი, რომელშიაც ათამდის რუსის დედაკაცი იჯდა. ესენი ყოფილიყვნენ წმიდა ნინოში სალოცავად. მოახწია თუ არა ამ ადგილს ფურგონმა, ცხენები დაფრთხნენ, მეფურგონემ ვეღარ შეიმაგრა და პირდაპირ კლდეზე გადაეშვნენ. საცოდავი და საზარელი სურათი იყო სწორედ იმ საათს. დედაკაცები ფურგონს ქვეშ მოყვნენ, იმათი წივილ-კივილი და კვნესა გულს შეჰზარავდა. მათი იღბალი კიდევ, რომ ფურგონზე მძიმე არა იყო-რა და ხალიჩების ბარგი ედო, თორემ, თქვენი მტერი,—სულ ერთიან დაისრისებოდნენ დედაკაცები. წივილ-კივილზე ლარსიდან სადგურის ზედამხედველმა გედეონ გოგოლაშვილმა მოაშველა მეეტლეები, რომელთაც დამტვრეულ ფურგონ ქვეშიდან ამოიღეს გულშეღონებული მეფურგონე და დედაკაცები. ზოგს თავი ჰქონდა გატეხილი და თქრიალით სისხლი ჩამოსდიოდა, ზოგს პირისახე ჰქონდა დაკაწრული და სისხლი სდიოდა, ზოგს ხელი ჰქონდა ნაღრძობი და სხვა. ღვთის მადლით, სიკვდილით არავინ მომკვდარა, მხოლოდ ერთი მძიმედ თავ-გატეხილი დედაკაცის მდგომარეობა იყო საშიში. დაშავებულები და გულ-გახეთქილი დედაკაცები კვნესა-ტირილით მოხევეების ურმებს დაუსხდნენ და გაემგზავრნენ კავკავისკენ. მეფურგონეს ორი ცხენი დაუშავდა. ამ საშიშ-სახიფათო ადგილის გაკეთება დიდად საძნელო და სამძიმო არ არის. ზურგ გამოშვერილ კლდეს ჩამოღება უნდა და გზა პირდაპირ გასწორდება, გაგანიერდება და ხიფათი აღარ მოხდება.

ქისტები თავისას არ იშლიან აქეთ: რვა ამ თვეს სადგურ ლარსში მებუფეტეს დიმიტრი ბურდულს მოჰპარეს ძროხა; ძროხის კვალი ქისტების სოფ. ჯაირახში შეიტანეს. შვიდს ამავე თვეს სოფ. სანებაში მცხოვრებს დახციეთ ბუბიევს მოჰპარეს ცხრა ძროხა, ამათი კვალიც ჯაირახში მიიტანეს. სანებისვე მღვდელს ბასიევს მოჰპარეს ცხენი. ცხრასვე ლარსის მთაში მოხევე გიგაურების ფარას მოსხლიტეს სამოცამდის თოხლი. მეცხვარეებმა ჩქარა აცნობეს ყაზახებს და თავადაც გაუდგნენ ქურდებს. ქურდებმა რომ შენიშნეს, ვეღარსად წაუვალთ მდევარსაო, ცხვრები მიატოვეს და თავად ტყეში მიიმალნენ. იმავე

დღეს სოფ. ბალთაში დუდაროვების სამოვარ მინდორში მეცხვარე მოხევეებს მიუცვივდნენ ქურდები, მაგრამ მეცხვარეები მამაცად დახვდნენ, დაუშინეს თოფები და ქურდები უკუ-აქციეს. მაგრამ რა თოფები! ქურდები ბერდანის თოფებით არიან შეიარაღებულნი, მეცხვარეებს-კი უბრალო ფიშტონიანი თოფებიღა-კი ძლივსა აქვს. თუ როდისმე რომელსამე მეცხვარეს უპოვნეს ბერდანის თოფი, თოფსაც ართმევენ და პასუხის გებაშიაც აძლევენ. სადა კი რამ დაიკარგება აქეთ, კვალი ჟოგელთოვის ამ ჯაარახისკენ მიდის. ნუ თუ ყურადღების მიქცევის ღირსი არ-არის ეს სოფელი, რომ რითიმე და რანაირათმე დაამშვიდონ იქაური მცხოვრებნი. პირველ მაისს სოფ. ოლგინწკის მინდორში სდარაჯობდა თავის ცხვრებს ქართველი ოსი გაბოევი. ღამე მიუპარნენ ქისტები, საბრალოს გაუკრეს და გამოუხმაურათ; ამ დროს დაახალეს თოფები და იქვე გაათავეს.

ქართველი ოსებში

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 მაისი.

პარიზი. 29 მაისი. ბელგრადიდან კერძო დეპეშებით იუწყებიან, რომ წუხელ მხედრობამ სერბიის მეფედ პეტრე კარაგეორგიევიჩი გამოაცხადათ. ჯარი საზეიმოდ მეფის სასახლეს შემორტყმია, შეუვარდნია და მოუკლავს მეფე ალექსანდრე და დედოფალი დრაგა. ეს მომხდარა შუაღამისა და ნაშუაღამევის პირველ საათს შუა. ამბობენ, ყველა მინისტრებიც მოჰკლესო.

ვენა. დღეს ბელგრადში შემდეგი პროკლამაცია გამოცხადდა:

„სერბიის ხალხნო! წუხელის მოჰკლეს მეფე ალექსანდრე და დედოფალი დრაგა. ამ საბედისწერო და მძიმე დროს ჩვენი სამშობლოს მეგობარნი შეიკრიბნენ და შეადგინეს მთავრობა. ვაუწყებთ ამას სერბიის ხალხს და დარწმუნებულნიცა ვართ, ხალხი ერთიანად მხარს დაუჭერს ამ მთავრობას და დაეხმარება თავისს სამშობლოში ეხლავე მშვიდობიანობა და კანონ-წესიერება დაიცვას. მთავრობა ამით აცხადებს, რომ დღეიდან ძალაში შედის 1901 წლის 6 აპრილის კონსტიტუცია და ყველა ის კანონი, რომელიც ამ წლის 25 მარტამდე (ძველის სტილისა) ძალაში იყო. 24 მარტის პროკლამაციით დათხოვნილი სკუპშჩინა (პარლამენტი) მოიწვევა ბელგრადში 2 ივნისს“ (ძველის სტილისა). ხელი მოწერილი აქვთ: ავაკუმოვიჩს, მინისტრ-პრეზიდენტს ლუბომირ კალიევიჩს, გარეშე საქმეთა მინისტრს სტოიან პროტიჩს, მინისტრებს გენჩიჩს, ატანაცკოვიჩს, ვეიკოვიჩს, მაშინს, სტოიანოვიჩს და შიმკოვიჩს.

არეულობა მოახდინა მხედრობამ. რამდენადაც აქამომდე ვიცით, მეფესა და დედოფლის გარდა, მოკლულნი არიან: მინისტრ-პრეზიდენტი ცინცარ მარკოვიჩი, გენერალი ლაზარ პეტროვიჩი და გენერალი მილოვან პავლოვიჩი. ხალხმა ეს ამბავი სრულიად გულ-გრილად მიიღო. ქუჩები ხალხითაა გაჭედილი და აღტაცებით ეგებება ახალ მინისტრებს, რომელნიც შინაგან საქმეთა სამინისტროსაკენ მიდიან. მეფისა და დედოფლის გვამები სასახლეში ასვენია.

როგორც პროკლამაციიდან სჩანს, მეფე ალექსანდრეს მიერ უკანასკნელის განკარგულებით გაუქმებული და ახლად შემოღებული ცვლილებანი გაუქმებულია. ეს ამბავი მოხდა სასახლეში ღამის თორმეტ საათსა და ნაშუაღამევის ორ საათს შუა.

კიოლნი. მეფე ალექსანდრესა და დედოფალ დრაგას გარდა მოკლულნი არიან ადიუტანტი ნაუმოვიჩი და სასახლის სხვა კარის-კაცნი. სასახლის გარშემო სამხედრო დარაჯია დაყენებული და არავის შიგ არ უშვებს.

ბერლინი. მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნ. დურნოვო, რომელიც ვისბადენს მიდიოდა, გზაში დამბლა დაეცა და გარდაიცვალა. გვამს რუსეთს წაასვენებენ.

ბელგრადი. დროებით მთავრობის პროკლამაციები ქუჩებში გამოაკრეს. მეფე-დედოფალი ტყვიით მოუკლავთ. მოკლულნი არიან აგრეთვე გენერალ-ადიუტანტი პეტროვიჩი და სამხედრო მინისტრად ყოფილი პავლოვიჩი.

ბერლინი. სოფიიდან იტყობინებიან: ადრიანოპოლის ოლქში ოსმალეთებს იარაღს ურიგებენ ვითომ იმ განზრახვითაო, რომ ბოლგართა მხრით თავ-დასხმისაგან თავი დაიცვან.

ზემლინი. დაწვრილებითი ცნობები რევოლუციისა: რამდენიმე ოფიცერი და რადიკალთა მეთაური ლიუბა ტიკოვიჩი ღამით მივიდნენ სასახლეში და მოსთხოვეს მეფეს მეფობა კარაგეორგიევიჩს დაუთმეო. მეფემ უარი განაცხადა და პოლკოვნიკი ნაუმოვიჩი, რომელმაც მეფეს ტახტის დათმობა მოსთხოვა, იქვე მოჰკლა დამბაჩით. ოფიცრებმა სამხედროსა და შინაგან საქმეთა მინისტრებს კაცი გაუგზავნეს, მერე კი მოჰკლეს მეფე-დედოფალი, ადიუტანტი პეტროვიჩი და ტახტის ერთგული ოფიცრები. ოფიცრებს მეთაურობდა მეექვსე პოლკის პოდპოლკოვნიკი მიშიჩი, რომელმაც თავისის ხელით მოჰკლა მეფე. დედოფალი და იმისი ნათესაობა წერაქვითაა მოჰკლული, მეფე ტყვიითა. რევოლუციის მიზეზად დედოფლის ძმა იყო—ტახტის მემკვიდრე. გადარჩენილი მინისტრები დაატუსაღეს. მიცვალებულთ კვირას დაასაფლავებენ.

საღამოს ქალაქი გაანათეს. მთელი ბელგრადი აუწერელ აღტაცებაშია.

30 მაისი

პეტერბურგი. 29 მაისს მარმარილოს სასახლეში გადაიხადეს ნათლობა დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძისა. ნათლობას დაესწრნენ ხელმწიფე იმპერატორი, დედოფალი მარიამ თეოდორეს ასული და ხელმწიფე მემკვიდრე.

პიატიგორსკი. წყალთა დირექტორმა თხოვნით მიჰმართა თავის გაზეთში პიატიგორსკს მოსულ 200 ექიმს, თავისის ქვეყნის მკვიდრთა საუწყებლად, რომ არავითარი გადამდები სენი არა ყოფილა აქაო.

ბელგრადი. მიუხედავად კოკისპირულ წვიმისა, ათასობით ხალხი სდგას ქუჩებზე სასახლის ახლო. ყველგან ჯარებია. გამოწყობილია ზარბაზნები. ჯარებს აღარა აქვთ ქუდებზე გაკეთებული კოკარდა მეფის ინიციალით; კოკარდის მაგიერად გაკეთებული აქვთ ყვავილები, მწვანე ტოტები და ფოთლები. ახალგაზრდობა ჯგუფ-ჯგუფად დადის ქუჩებში, დროშებს აფრიალებს და იძახის: „გაუმარჯოს კარაგეორგიევიჩსაო!“ თითქმის ყველა სახლი ბელგრადში ბაირაღებით არის მორთული. მათ შორის სამგლოვიარო ბაირაღი ერთიც ის არის. მეფის სასახლეზე ბაირაღი აღარ არის.—კერძო დეპეშა იუწყება, რომ მეფე ალექსანდრეს ამ ბოლოს დროს განზრახვა ჰქონდა გაჰყროდა დედოფალსაო. რამდენსამე უმაღლეს სამხედრო პირის უნდოდა იმ ღამეს ძალად მოეშორებინათ დედოფალი სადგომიდან, მაგრამ დედოფლის მომხრეებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. მეფე და დედოფალი გაცხარებულ ბრძოლის დროს მოჰკლეს.

ველინგტონი. (ახალი ზელანდია) პირველმა მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც გამოსთქვა, რომ თუ ჩვენ ახალშენების სურვილებს ყურადღება არ მიაქციეთ, მაშინ იმათ შეუძლიათ ხელშეკრულობა მოახდინონ სხვა სახელმწიფოებთან, რაც აუცილებლად გამოიწვევს ბრიტანიის იმპერიის დანაწილებას, და ამაში ერთად-ერთი პასუხის მგებელი დიდი ბრიტანია იქმნებაო.

სოფია. საქმე რაზლოგის ოლქში სამწუხარო მდგომარეობაშია; ოსმალ ჯარებს გაუძარცვავს სოფლები კვონჩევო და კრემენი. მცხოვრებნი გაიქცნენ ბოლგარიაში.

პეკინი. 29 მაისს მუმმი მიიღო ქვრივ დედოფალმა.

ბელგრადი. ცვლილება მოახდინა რუმინიის მეფის სახელობის მე-6 რაზმმა; მეთაურობდა, როგორც ამბობენ, პოლკოვნიკი მიშიჩი და მაშინი. უკანასკნელი ახალი კაბინეტში შევიდა—ის შენობების აგების მინისტრია. დედოფალი დრაგა იმის ძმის ცოლი იყო. ჯარის კაცები შეუვარდნენ ღამით სადგომებში ლაზარე პეტრეს ძეს, ველიმირ თეოდორეს ძეს, მიხეილ პავლეს ძეს და დედოფლის ოჯახის წევრებს. როგორც ამბობენ, სულყველა დახოცილია. მეფეს, დედოფალს და სხვა დახოცილებს მარხავენ დღეს სრულ უბრალო კუბოებით; მეფე, ალბათ, დამარხულ იქმნება რაკოვიცის მონასტერში, დანარჩენები-კი აქაურ სასაფლაოზე.

ვენა. მილანის მეფობის დროს ახალი სერბიის მინისტრებს შიმკოვიჩს და პროტიჩს გადაწყვეტილი ჰქონდათ ოცი წლის ციხე. ჩენჩიჩი იყო დედოფალ დრაგას ერთი უმთავრესი მოწინააღმდეგეთაგანი და ალექსანდრეს მეფობის დროს უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი.

ბერნი. კარაგეორგიევიჩი დღისით კიდევ ჟენევაში იყო. ხუთის ნახევარზე მიიღო ჟურნალისტები, რომელთაც უთხრა, რომ ოფიციალურად მასთვის არაფერი შეუტყობინებიათ, არ იცის, წავა თუ არა და როდის ბელგრადში, გამოცხადებულია თუ არა მეფედ.

ბელგრადი. გვარდიელებმა, რომელნიც კონაკს იცავდნენ, საოცარი თავგანწირული წინააღმდეგობა გამოიჩინეს. ამბობენ, ასამდე გვარდიელია მკვდარიო. ადიუტანტ პოლკოვნიკმა ნაუმოვიჩმა, რომელიც მეფის საწოლ ოთახში შეიჭრა, მოსთხოვა, რომ მეფეს უარ ეყო ტახტი. მეფემ მოღალატე უწოდა და მოჰკლა. ამის შემდეგ აფიცრებმა კაპიტან ნაგოვიჩის მეთაურობით ამოსწყვიტეს ყველა იქ მყოფნი. პოდპოლკოვნიკმა მიშიჩმა მოჰკლა მეფე. ბოროტ-მოქმედება ჩაიდინა ქვეითა რაზმმა, რომელიც ამ ცოტა ხანში სასტიკად დასაჯეს იმიტომ, რომ დემონსტრანტებს თოფი არ ესროლეს. ბოროტ-მოქმედების ჩადენა ზარბაზნის სროლით აუწყეს ხალხს. სამხედრო მინისტრი პავლოვიჩი ხის ყუთში ჩამძვრა, მაგრამ 25 ტყვია ესროლეს. ყველა დაწესებულებანი და მაღაზიები დაკეტილია. ბევრი მცხოვრებლები გადაიხვეწნენ. ზემუნიდან დეპეშებით მოითხოვეს ბევრი ვაგონები გადახვეწილთა წასაყვანად. ბელგრადში ძნელია შესვლა პასპორტითაც-კი. ოფიციალურად გამოკვეულია, რომ მეფე-დედოფლის გარდა მოკლულნი არიან დედოფლის ძმები ნიკოლა და ნიკოდიმ ლუნევიცები, ცინცარ მარკოვიჩი, პავლოვიჩი, გენერალ-ადიუტანტი პეტროვიჩი, მეორე კაპიტანი ნაუმოვიჩი, კაპიტანი გამკოვიჩი და ლეიტენანტი გაგოვიჩი. მძიმედ დაჭრილია შინაგან საქმეთა მინისტრად ნამყოფი ტეოდოროვიჩი და დუნაის დივიზიის უფროსი ნიკოლაიჩი. დროებითი ახალი მმართველობა ყოველს ღონეს ხმარობს, დაიცვას ამ ქვეყანაში მშვიდობიანობა, რომელიც არსად არ დარღვეულა. თუმცა მხედრობამ კარაგეორგიევიჩი აღიარა მეფედ, მაგრამ ხალხის წარმომადგენლებია მოწვეული ამ საქმის გადასაწყვეტად. მტკიცდება, რომ არც დედოფლის და და არც ორი დისწული არ დაღუპულა. მოკლულია მხოლოდ ორივე ძმა დედოფლისა. მიცვალებულთ დაასაფლავებენ ღამით, სრულიად ჩუმად. ეს ამბავი გულ-დამშვიდებით მიიღეს ამ მხარეში. კარაგეორგიევიჩი მხოლოდ მაშინ მოვა, როდესაც სკუპშჩინა და სენატი მეფედ აღიარებენ იმას. ბელგრადის ქალაქის პრეფექტად დაინიშნა პოლკოვნიკი გოგდონ დანიანოვიჩი. წინანდელ მთავრობის წევრნი, ვინც კი ცოცხალია, თავისუფლად არიან. რადიკალთა მეთაურები, რომელნიც აბბაციაში ცხოვრობდნენ, დეპეშით გაიწვიეს ბელგრადს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 27 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	93,90
ბერლინზე 100 მარკაში	45,90
პარიზზე 100 ფრანკში	37,35
ლონდონზე ჩეკები	94,70
ბერლინზე „	46,30
პარიზზე „	37,60
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98½ გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	100 ⅛ მყიდვ.
/00/2/0 შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4 გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	95⅛ „
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	432½ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	331 „
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	284 3/7 „
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	90¼ „
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5%-ანი ობლიგ. ბაქოს საკრედ. საზოგადოებისა	—
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	91¾ „
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია	182 გაყიდ.

მიმოსვლა რკინის გზების მატარებლებისა

18 აპრილიდან

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურის საათი, რაც ფრჩხილებში—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერივანს: 1) საფოსტო № 74/76 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 28 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 წ. 3). სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 08 წ. (2 ს. [illegible] წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.) 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 28 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.); 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქ. ქუთაისში
მიხეილის ქუჩაზე გოკიელოვის შენობაში
ტარიელ დიმიტრის ძე
გაბუნიას და ამხანაგობას

აქვს გახსნილი საწყობი, სადაც იყიდება ყოველნაირი დაწმენდილი არაყეულობა, სპირტი და სასმელი ზომიერ ფასებში. საქონელი მოწონებულია ტფილისის გამოფენაზე და დაჯილდოვებულია. მყიდველებს შეუძლიათ მიმართონ ზემოხსენებული ადრესით. (10—1)

მ. რ. გამრეკელის მამულში
ს. მუკუზანს, სიღნაღის მაზრაში,
იყიდება

თავი ღვინოები წითელი და თეთრი 1000 ვედრამდის. დაწვრილებით პირობების შესატყობად მიჰმართეთ მამულის გამგეს ს. მუკუზანში. (3—100—2)

აგარაკი
„დაკიდებული ბაღი“

აგარაკი შესდგება მიწის ნაჭრებისაგან, რომელიც შეიცავს 400 ოთხკუთხ საჟენს. არის ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი; თითო სართულში ოთხ-ოთხი ოთახია. იძლევა ქირით თელავს, კურდღელაურის აგარაკში. ოთახები მშრალი და ნათელია. საუცხოვო გადასახედია: მოსჩანს ალაზნის ველი და დაღესტნის მთები. პირობების შეტყობა ტერ-დავითიანცთან შეიძლება, ტფილისში, მე-5 ნაწილში, სომხებთა წმ. გიორგის ეკკლესიის გალავანში. (2—[illegible]—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლი შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო რა ღებულობს. (0—59)

ქართველ ქალთა ამხანაგობის
სამკერვალოში

მიიღება შესაკერად ყოველგვარი ხელ-საქმე: თეთრეული, ფერადის ძაფებით შესაკერავები და **ქუდები** ქალებისა და ბავშვებისათვის.
ბარონის ქუჩა, № 12. (უ. 12—10.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ყველა წიგნის მაღაზიებს
ახალი წიგნი
„ჩვენს დედებს“
პედაგოგიური წერილები ალექ. ნათაძისა
ფასი ხუთი შაური.
ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლა, ალ. ივ. ნათაძეს. (უ. 0—13)